

# ო, კაპიტანო! ჩემო კაპიტანო!

BIBLIONTEKA.COM

ო, კაპიტანო! ჩემო კაპიტანო! დასრულდა მგზავრობა, ხიფათით აღსავსე;  
მიწყნარდა ღელვა და ჩაცხრა ქარიშხალი, გაუძლო ხომალდმა უამრავ განსაცდელს;  
ნაპირს მივალწიეთ, მშვიდობით დავბრუნდით. უკვე ახლოსაა, მოჩანს ნავსადგური;  
ხედავ, ხალხი გველის, რეკავენ ზარები – ჩვენი გამარჯვების ჯილდო, საზღაური;  
მაგრამ ო, ეგ გული! ეგ გული იცლება  
სისხლისგან, გემბანზე წითელი ლაქა მოჩანს.  
უკვე ვერაფერი ველარ შეიცვლება,  
ჩემი კაპიტანი სიკვდილმა შემოხოჭა.

ო, კაპიტანო! ჩემო კაპიტანო! წამოდექ, უსმინე, ზარი რომ გუგუნებს;  
შენ გეგებებიან, მაღლა რომ ისვრიან ფერადი ლენტებით მორთულ თაიგულებს;  
წამოდექ – ეს დროშა ხომ შენთვის ფრიალებს, შენთვის აჟღერებენ ბუკსა და ნაღარას,  
შენ გესალმებიან, არ გესმის ძახილი? იქნება ხანგრძლივმა მგზავრობამ დაგლალა?  
აქეთ, კაპიტანო! ო, მამავ ძვირფასო!  
ეს ჩემი ხელია შენი სასთუმალი.  
აღბათ, მესიზმრება, რომ ჩემს წინ, გემბანზე  
წევხარ სიკვდილისგან ცივი და მდუმარე.

ჩემი კაპიტანი პასუხს არ იძლევა, გაფითრდა ზაგე და თანდათან ცივდება,  
ველარ გრძნობს შეხებას, გული აღარ უძგერს, სული და სხეული  
ერთმანეთს სცილდება;  
ხომალდმა ნაპირას ჩაუშვა ღუზა და დგას გამარჯვებული, ასრულდა, რაც გვსურდა;  
მიზანს მივალწიეთ. ხანგრძლივი, დამღლევი ეს მოგზაურობა  
დამთავრდა, დასრულდა;  
ჩაჰბერეთ საყვირებს, დარეკეთ ზარები!  
მე კი მწუხარების თრთოლვამ ამიტანა,  
გემბანზე ჩამოწვა სიკვდილის მდუმარება,  
წევს გაციებული ჩემი კაპიტანი.